ტებუკონაზოლის ენანტიოსელექტიური ანალიზი ხილსა და ბოსტნეულში სითხური ქრომატოგრაფია მას-სპექტრომეტრიის (HPLC-MS/MS) გამოყენებით

ეკა მეშველაშვილი, ბეჟან ჭანკვეტაძე

Eka.Meshvelashvili104@ens.tsu.edu.ge

ქიმიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ტებუკონაზოლი არის სისტემური ფუნგიციდი, რომელიც ხშირად გამოიყენება სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ მარცვეულში, ბოსტნეულში, ხილსა და პლანტაციებში. ტებუკონაზოლისა და მისი მოქმედების უკეთესად შესასწავლად, მნიშვნელოვანია მისი ენანტიოსელექტიური ანალიზი. ასევე კრიტიკულია ტებუკონაზოლის რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტში.

მოცემული კვლევის მთავარი მიზანი იყო, რომ შეგვემუშავებინა ენანტიოსელექტიური მეთოდი ტებუკონაზოლის ენანტიომერების დასაყოფად მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიის და პოლისაქარიდული ბუნების ქირალური სვეტების გამოყენებით.

აგრიკულტურულ პროდუქტებში ტებუკონაზოლის ანალიზისთვის გამოყენებული იქნა სითხური ქრომატოგრაფია ტანდემურ მას-სპექტრომეტრიის (HPLC-MS/MS) მეთოდი.

ამ კვლევაში ტებუკონაზოლის ენანტიომერების აღმოჩენა და რაოდენობრივი განსაზღვრა მოხდა ბანანში, ყურძნის მარცვალსა და ბულგარულ წიწაკაში. ასევე, შედარებულ იქნა ექსტრაქციის სხვადასხვა მეთოდები.